სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟღენუმის შესახებ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი

№ 109 (11415) | ხუთშაბათი, 14 მაისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის გარდამქმნელი ძალა

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". ამ წიგნით იწყება ახალი ეტაპი მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში. ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" მეცნიერული გენიის იმ უკვდავ ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მნიშვნელობა რაც დრო გადის, კიდევ უფრო იზრდება.

სტოლიპინის რეაქციის მძიმე პირობებში, იდეური დაბნეულობისა და რელიგიურ-მისტიკურ მოძღვრებათა წყვდიადში ლენინის ეს ფილოსოფიური ნაშრომი იყო გზის მანათობელი ჩირაღდანი.

მახისტების რეაქციულ ანტიმეცნიერულ შეხედულებათა და რელიგიური ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინი გამოვიდა როგორც მოწინავე მეცნიერების წარმომადგენელი და დიდი ნოვატორი ფილოსოფიაში. მან ამხილა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და განაადგურა მახიზმი როგორც რეაქციული ფილოსოფიური მოძღვრება.

აკრიტიკებს რა მახიზმს, ლენინი აშკარავებს მის გნოსეოლოგიურ ფესვებს და სოციალურ შინაარსს, გვიჩვენებს მახიზმის როგორც იმპერიალისტური რეაქციის ფილოსოფიის კლასობრივ საფუძველს. ვ. ი. ლენინი აშკარავებს მახისა და ავენარიუსის იდეალისტურ მოძღვრებათა რეაქციულ პოლიტიკურ არსს.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის რეაქციულ მიმართულებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ვ. ი. ლენინი ავითარებს მარქსისტულ მატერიალიზმს და უმაღლეს საფეხურზე აჰყავს იგი, არკვევს შემეცნების პროცესის ძირითად მომენტებს, საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის როლს და შემოქმედებითად ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას ჭეშმარიტების შესახებ.

ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" არა მარტო გააკრიტიკა, არამედ ბოლომდე გაანადგურა დიალექტიკური მატერიალიზმის მტრები. მან გაბედულად აღმართა პროლეტარული ფილოსოფიის პარტიულობის დროშა.

გავიდა წლები. ბოლშევიკების პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა მოწინავე რევოლუციური თეორიით, თავისი განუხრელი წინსვლის გზაზე დაძლია ყველა ჯურის ოპორტუნისტული დინებანი, გარდაქმნა ნახევრადფეოდალური რუსეთი მძლავრ სოციალისტურ ქვეყნად. მარქსისტულმა ფილოსოფიამ პროლეტარიატში ჰპოვა თავისი **მატერიალური** იარაღი, ხოლო პროლეტარიატმა — თავისი **სულიერი** იარაღი. ლენინიზმი, როგორც მარქსიზმის უმაღლესი საფეხური, დაეუფლა მასებს და გახდა მატერიალური ძალა. სოციალიზმი დიდი ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა, ხოლო სსრ კავშირის ხალხები, შეიარაღებულნი სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, წარმატებით აშენებენ ახალ საზოგადოებას — კომუნიზმს. საბჭოთა ადამიანებმა უმაგალითოდ, ეპოქის შესაფერისად განავითარეს მეცნიერების ყველა დარგი. მათმა მიღწევებმა გააოცა მთელი მსოფლიო. საბჭოთა მეცნიერებმა ხორცი შეასხეს დიდი ლენინის მიერ ამ ფილოსოფიურ ნაშრომში გამოთქმულ სიტყვებს: **„ადამიანის გონებამ ბევრი გასაოცარი რამ აღმოაჩინა და უფრო მეტს აღმოაჩენს, და მით გაადიდებს თავის ბატონობას მასზე"...** კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, რომელთა მსოფლმხედველობაა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, პრაქტიკით დაუმტკიცეს მსოფლიოს, რომ ამ ფილოსოფიის მიზანია არა მარტო შეიცნოს სამყარო, არამედ კიდევაც გარდაქმნას იგი.

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სულ უფრო ღრმა სიმპათიას იწვევს ყველა ქვეყნის მუშათა კლასსა და მშრომელთა ფართო მასებში. სოციალიზმის დიადი იდეები ეუფლებიან ახალ და ახალ მილიონობით ადამიანთა შეგნებას. ყოველივე ამით შეშფოთებული საერთაშორისო იმპერიალიზმი მიმართავს მასების იდეოლოგიურ დამუშავებას, ცდილს სწამებს მარქსიზმ-ლენინიზმს. მსოფლიო რეაქციის სამსახურში ფაქტიურად დგას თანამედროვე რევიზიონიზმიც. „თანამედროვე რევიზიონიზმი, — ნათქვამია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის დეკლარაციაში, — ცდილობს სახელი გაუტეხოს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, აცხადებს მას „მოძველებულად" და ამჟამად საზოგადოებრივი განვითარებისათვის ვითომდა მნიშვნელობადაკარგულად. რევიზიონისტები ცდილობენ აღმოფხვრან მარქსიზმის რევოლუციური სული, შეარყიონ მუშათა კლასისა და მშრომელი ხალხის რწმენა სოციალიზმისადმი". მაგრამ ისინი ამას ვერ მოესწრებიან, როგორც მას ვერ მოესწრნენ მათი წინაპრები. მოსკოვის ცნობილი თათბირებისა და, განსაკუთრებით, სკკპ XXI ყრილობის შემდეგ რევიზიონიზმთან ბრძოლამ უფრო მიზანდასახული, ორგანიზებული და შეტევითი ხასიათი მიიღო. ეყრდნობიან რა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის თეორიულ და პოლიტიკურ დასკვნებს, კომუნისტური და მუშათა პარტიები გადაჭრით ამხილებენ თანამედროვე რევიზიონისტთა ძირგამომთხრელ საქმიანობას, აღწევენ თავიანთი რიგების შემდგომ იდეურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას, აღწევენ ახალ წარმატებებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი პარტია მუდამ და ყველაფერში ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმისა, ეს მიაჩნდა და მიაჩნია თავის წარმატებათა ერთერთ მთავარ წყაროდ. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ, დასახა რა კომუნიზმის აშენების გზები, დიდი ამოცანები დასახა იდეოლოგიური მუშაობის დარგში მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

საბჭოთა ხალხი დიდი შრომითი პათოსით შეხვდა ცნობას სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმების საკითხზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ და ეს მიაჩნია საბჭოთა საზოგადოების განმტკიცებისა და კომუნიზმის მშენებლობის წარმატებისათვის პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ გამოხატულებად.

მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერული თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის განუხრელი ერთიანობაა. იგი მილიონების გამოცდილებით მდიდრდება. მის იდეებს, როგორც ამას პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ისეთივე ცხოველმყოფელი ძალა აქვს, როგორც მზის სხივებს, როგორც სინათლესა და სითბოს მცენარისათვის, სიცოცხლისათვის დედამიწაზე.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობაა. ლენინიზმი ჩვენი ეპოქის დროშაა, რომლითაც პარტიას კაცობრიობა მიჰყავს ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ!

ფართო გზა ტექნიკურ პროგრესს

მხარი დავუჭიროთ ქართველ ელმავალმშენებელთა შესანიშნავ თაოსნობას!

მათ იკისრეს 24 ივნისისათვის შეასრულონ ნახევარი წლის გეგმა და დამატებით მისცენ სამშობლოს მილიონობით მანეთის პროდუქცია



თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის. აქ ინერგება მრავალი ტექნიკური გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას. სურათზე (მარჯვნიდან): ზეინკალი ვ. გუჯაბიძე და ტექნოლოგი გ. სადრაძე ამოწმებენ ახლადდამზადებულ ჩარხს „ტტ-43"-ს, რომელიც ექსპონირებული იქნება 1959 წ. თბილისის სამრეწველო გამოფენაზე.

ფოტო გ. გოგობიასი.

მეტი ფოლადი სამშობლოს

რუსთავი. (საკ. კორ.). ცნობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივში ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

— შვიდწლიანი გეგმა, — განაცხადა ცნობილმა მეფოლადემ გრიგოლ ბურეკაშვილმა, — უდიდეს ამოცანებს უსახავს მრეწველობის მუშაკებს. მახასხადმეველია, რომ პარტიას პლენუმზე განსახილველად გამოაქვს კომპლექსური მექანიზაციის, წარმოების ავტომატიზაციის, ნაკადური ხაზების შემოღების, მოძველებული მოწყობილობის, ტვიფრებისა და ინსტრუმენტების შეცვლის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი თვითღირებულების შემცირებისა და ტექნიკური პროგრესის სხვა საკითხები. შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა ამ დღეებში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ტექნიკური პროგრესის შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ყველა ხაწარმოს. ამ თაოსნობას ფართოდ უნდა დავუჭიროთ მხარი.

ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მაგალითისამებრ ქარხანაში კვლავ აწონდაწონეს არსებული შესაძლებლობანი და უახლოეს მომავალში მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება, სიახლეთა დანერგვა გადაწყვიტეს, კერძოდ, მარტენის ორ ღუმელზე დანერგონ თბური რეჟიმის მართვის ავტომატიზაცია, განახორციელონ ფოლადის ჩამოსხმის დისტანციური მართვა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მოწვევასთან დაკავშირებით, აგრეთვე თბილისელ ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის მოწოდების პასუხად გადდებული ვალდებულებები იკისრეს მეფოლადეებმა, მგლინავებმა, მებრძმედეებმა, მილგამგლინავებმა.

6 თვის გეგმა 24 ივნისისათვის

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბა აწარმოონ ნაკადური მეთოდით, წელს ასათვისებელი ახალი პროდუქციის — ჩასაკიდი ელექტროძრავის კორპუსში სტატორების დაწნეხვა განახორციელონ ჰორიზონტალურ-ჰიდრავლიკური წნეხის საშუალებით, რომელიც ადგილზეა დამზადებული. ამასთან წნეხის ამოშავება უზრუნველყონ პლენუმის გახსნის დღისათვის.

ელექტრომექანიკური საამქროს სატვიფრო უბანში ამავე დროისათვის დანერგონ ჩასაკიდი ელექტროძრავის სტატორებისა და როტორების დატვიფრვა სექციური პუანსონების და მატრიცებისაგან შედგენილ ტვიფრზე.

საშახტო ელექტრომავლების საამქროში სახარატო და რევოლვერულ ჩარხებზე დანერგონ ჰიდრავლური დამჭერი მოწყობილობანი, საამწყობო საამქროში — სპეციალური სამარჯვი ბოგმი თუჯის ბურბუშელის მექანიკურად მიწოდებისათვის. თუჯისა და ლითონების დეტალების მანქანური დაყალიბება გაადიდონ 15 პროცენტით.

ერთსულოვანი მხარდაჭერა

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სამრეწველო საწარმოთა და ახალმშენებლობათა კოლექტივები დიდი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას მიმდინარე წლის 24 ივნისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ. ისინი გულდასმით სწავლობენ მრეწველობასა და მშენებლობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ავტომატიზაციის, ნაკადური ხაზების შემოღების და მოძველებული მოწყობილობის შეცვლის საკითხებს,

ბათუმის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვამ წარმოებაში ტექნიკური პროგრესის ფართოდ განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

დიდი აღმავლობაა ამ დღეებში ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში. აქ დასახეს მთელი რიგი კონკრეტული და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. რიჩკოვმა განაცხადა:

— მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ტექნიკური პროგრესის საკითხებზე პლენუმის მოწვევის შესახებ ერთხელ კიდევ მოწმობს პარტიის დაუღალავ ზრუნვას სოციალისტური მრეწველობის აღმავლობისათვის. ჩვენ გადავწყვიტეთ უახლოეს ხანში შევიძინოთ ფურცლოვანი რკინის საღუნავი დაზგა, 12-ტონიანი ავტომატური ამწე, 12 მილიმეტრი სისქის ფურცლოვანი რკინის საჭრელი მაკრატელი, 4 მძლავრი სახარატო დაზგა და სხვა მოწყობილობა. ამ დღეებში წარმოებაში დავნერგავთ წყალქვეშა ფრთებიანი კატერის კორპუსის მოსაქლორავ ავტომატურ წნეხს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი კიშინიოვში

კიშინიოვი, 13 მაისი. (საკადესი). კვლავ ისევე, როგორც საპირველმაისო დღეებში, სადღესასწაულოდ მორთულია მოლდავეთის დედაქალაქი. შენობების ფასადებზე არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ალმები და ტრანსპარანტები.

ბორცს ისხამს შვიდწლიანი გეგმა მოლდავეთის დედაქალაქში. ეს არის ახალი საცხოვრებელი სახლები, ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები და კინოთეატრები. ყველაფერში ჩანს შთაგონებული შრომა მოლდაველი ხალხისა, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუცხრომლად შრომობს კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს ცნობა, რომ კიშინიოვში ჩამოდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. სერდიუკი, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. კოდიცა, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ფ. დორმიდაკი, ზეიმზე ჩამოსული აზერბაიჯანის მშრომელთა დელეგაციის მეთაური, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მ. ჯაფარლი, მოლდავეთის სსრ მინისტრები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, ქალაქის მშრომელთა კოლექტივების მრავალი წარმომადგენელი.

დილის 10 საათია. პერონს მოადგა მატარებელი. როცა ვაგონის კარში გამოჩნდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, დამსწრენი სიხარულით მიესალმნენ.

ნიკიტა სერგის-ძე გულთბილად მიესალმა შემხვედრთ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად კიშინიოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი.

რესპუბლიკის წარჩინებულმა ადამიანებმა პურ-მარილი მიართვეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს ნიკიტა სერგის-ძეს.

ვაგზლიდან მთელ გზაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გულითადად მიესალმებოდა ათეულ ათასობით მშრომელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა კიშინიოვში გადაიქცა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მოლდაველი ხალხის მონოლითური ერთიანობისა და შეკავშირების, სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო სიყვარულის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისადმი ერთგულების აღმაფრთოვანებელ მანიფესტაციად.

კიშინიოვი, 13 მაისი. (საკადესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც კიშინიოვს ჩამოვიდა, რათა მოლდავეთის სს რესპუბლიკას გადასცეს ლენინის ორდენი, რომლითაც ეს რესპუბლ-კა დაჯილდოებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, დღეს მოლდავეთის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ეწვია სტარშენის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობას.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა კოლმეურნეობის აქტივს მეურნეობის განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ და სიტყვით მიმართა კოლმეურნეებს. შემდეგ მან შემოიარა კოლმეურნეობის ბაღები და ვენახები და იყო აგრეთვე მეზობელი სასოფლო-სამეურნეო არტელის „ბირუნიცის" ერთ-ერთ ბრიგადაში.

დღეს საღამოს 8 საათზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში გაიმართება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სესია, რომელიც მიეძღვნება **ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" გამოქვეყნების 50 წლისთავს.**

საქართველოს კომპარტიის რუსთავის, საქალაქო კომიტეტი და გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია აწყობენ

მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა აქტივის საქალაქო თათბირს

თათბირი განიხილავს პარტიის XXI ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობას, რომლებიც ითვალისწინებენ ტექნიკურ პროგრესს მრეწველობასა და მშენებლობაში. თათბირი განიხილავს აგრეთვე ქალაქის ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნის საკითხებს.

თათბირი შედგება ა. წ. 14 მაისს საღამოს 6 საათზე მეტალურგთა კულტურის სასახლეში.

140.000 ცხენ ჩაისთვის!

იცნობდეთ, ესენი ჩაის კრეფის გუშინდელი დღის გმირები არიან



მახარაძე

შურა ტუბუჩიძემ სოფელ შრომის კოლმეურნეობაში მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაი და ამით ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას 25 კილოგრამით გადააჭარბა.

ნინო გოგაძემ ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 50 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 20 კილოგრამისა.

მაშო ჩხაიძემ, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს ამავე კოლმეურნეობაში, გუშინ მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა.

გეგეჭკორი

მარგო ჩიქვანაია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მას დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა მარჯვენას უქნებს. გუშინ მოკრიფა 135 კილოგრამი ჩაის ნედლეული და ამით ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას 110 კილოგრამით გადააჭარბა.

მარო ჩაკვეტაძემ ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 115 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა.

ჩოხატაური

ქსენია ბურჭულაძემ გუშინ სოფელ სამების კოლმეურნეობაში დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა და პირველ დღესვე მოკრიფა 26 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 12 კილოგრამისა.

მედიკო კუტუბიძე მუშაობს სოფელ ქვენობანის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 25 კილოგრამი ჩაი და ამით ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას 13 კილოგრამით გადააჭარბა.

ხოგი

ქსენია კევალიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი ნაყოფიერად მუშაობს სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში ამხ. კევალიშვილმა გუშინ მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 20 კილოგრამისა.

მშენებლოგათა ხარაჩოებზე

დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში წარმატებით ძიძდიხარეობს ასობით საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მაგრამ ახალი მშენებლობა ყველაზე უფრო ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. აქ ლენინის პროსპექტის ორივე მხარეს ათ კილომეტრზეა გაჭიმული ახალი საცხოვრებელი სახლების ოკამდე კვარტალი. ნახევარ მილიონზე მეტი მოსკოველი ცხოვრობს ახლა ამ შესანიშნავ, კეთილმოწყობილ შენობებში.

განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ყველაზე დიდი კვარტალის მე-18 კვარტალის მშენებლობა. აქ აღიმართება 30 მრავალსართულიანი კორპუსი, რომელშიც 100 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი იქნება.

თავისებურ სამშენებლო კონვეიერს წარმოადგენს ეს კვარტალი. წინა პლანზე წამოჭიმულია ლამაზი შენობების კორპუსები, რომლებშიც უკვე ჩასახლდნენ მოსკოველები. ზოგან წარმატებით მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები, სხვაგან კი კედლების ამოყვანაა დაწყებული. უფრო შორს მოჩანს მსხვილბლოკებიანი შენობებისათვის განკუთვნილი მოედნები. ქალაქის ცენტრიდან სულ უფრო მიიწევს სამშენებლო ტექნიკა, ახალი კორპუსების საძირკვლისათვის ითხრება ღრმა ქვაბულები მოსკოვის მიწაში. და სწორედ ამ სამშენებლო კონვეიერზე მუშაობს ახლა პავლე სმირნოვის კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ძმური, მეგობრული კავშირი აქვს დამყარებული თბილისელ მშენებლებთან, გიორგი ეფიკაშვილის ბრიგადასთან. პავლე სმირნოვი, აგრეთვე მისი თანამოსაქმეები — ბრიგადირები ვლადიმერ ზატვორნიცკი და მიხეილ იაკუტინი მოსკოვში ერთ-ერთი პირველთაგანნი არიან, რომლებმაც გააჩაღეს შეჯიბრება მშენებლობათა ვადების შემცირებისა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიური ხარჯვისათვის.

ბრიგადებმა საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სამივე ბრიგადამ სახელმწიფოს უკვე დაუზოგა 200 ათასი მანეთი.

რეპორტაჟი მოსკოვიდან

მთავრობილისმშენის მე-9 სამმართველოს კომპლექსურ ბრიგადას, რომელსაც გიორგი ეფიკაშვილი ხელმძღვანელობს, მეგობრული ურთიერთობა აქვს „გლავმოსსტროის" № 1 ტრესის მე-6 სამმართველოს პავლე სმირნოვის კომპლექსურ ბრიგადასთან. რუსი და ქართველი მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის თავიანთ გამოცდილებას, მშენებლობის მოწინავე მეთოდებს.

საპირველმაისო დღესასწაულის წინა დღეებში ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა გაზეთ „ზნამია სტროიტელიას" რედაქტორის მოადგილემ ნ. იარცევმა ინახულა ბრიგადის წევრები, გაეცნო მათს მუშაობას, წარმატებებს. ვბეჭდავთ ნ. იარცევის რეპორტაჟს.

ოსელ მშენებლებთან, გიორგი ეფიკაშვილის ბრიგადასთან. პავლე სმირნოვი, აგრეთვე მისი თანამოსაქმეები — ბრიგადირები ვლადიმერ ზატვორნიცკი და მიხეილ იაკუტინი მოსკოვში ერთ-ერთი პირველთაგანნი არიან, რომლებმაც გააჩაღეს შეჯიბრება მშენებლობათა ვადების შემცირებისა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიური ხარჯვისათვის.

ბრიგადებმა საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სამივე ბრიგადამ სახელმწიფოს უკვე დაუზოგა 200 ათასი მანეთი.

უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა ანატოლი ყავორონკოვმა გვაჩვენა კორპუსი, რომლის მშენებლობა ახლა მიმდინარეობს.

— ეგრეთწოდებული „საბოლოო პროდუქცია" ჩვენთვის კანონია. ყველა სამუშაოს ბოლომდე ვასრულებთ. ამიტომ არის, რომ ჩვენს სამივე კორპუსზე განსაკუთრებული სისუფთავე და წესრიგია.

— ახლა, — ამბობს ბრიგადირი პავლე სმირნოვი, — ვშრომობთ უკანასკნელ სამუშაოთა შესასრულებლად. სიამაყის გრძნობით ვაცხადებენ ჩვენს ქართველ მეგობრებს, რომ საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად გავანაღდეთ, სადღესასწაულოდ მშრომელებს ჩავაბარეთ ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინები.

ნ. იარცევი,
გაზეთ „ზნამია სტროიტელიას" რედაქტორის მოადგილე.

უდიდესი მნიშვნელობის საქმე დაიწყო საქართველოს მუშათა კლასმა

ვამოწმებთ ნაკისრ ვალდებულებებს

შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში

„უდიდესი მნიშვნელობის საქმე დაიწყო საქართველოს მუშათა კლასმა“. ასეთი მაღალი შეფასება მიეცა გაზეთმა „პრავდამ“ შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად საქართველოს სს რესპუბლიკაში გაჩაღებულ ხაოფელთაო მძლავრ მოძრაობას, რომლის ინიციატორად ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი გამოვიდა.

ამ შესანიშნავი წამოწყების ინიციატორებმა მტკიცე, ყოველდღიური ბრძოლა გაშალეს მფლანგველობის, უყაირათობისა და დანაკარგების წინააღმდეგ, თვითეულ სამუშაო ადგილზე უმკაცრესი ეკონომია სათვის. ქარხნის კოლექტივის ყოველი წევრის ენერგიულმა და პატრიოტულმა შრომამ, ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის დაუცხრომელმა მისწრაფებამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო — შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში უკვე შეტანილია 2 მილიონ მანეთზე მეტი. მიუხედავად ამისა, ქუთაისელი ავტომშენებლები არ კმაყოფილდებიან ლაშქრობაში მოპოვებული პირველი წარმატებებით, კვლავაც ზრდიან თავიანთ წვლილს შვიდწლედის ფონდში, ეძებენ, ავლენენ და იყენებენ ახალ მდიდარ შინაგან რეზერვებს.

მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, ჩრდილოვანი მხარეები, მასში ერთნაირი აქტივობით როდია ჩაბმული საწარმოს ყველა საამქრო, განყოფილება და უბანი.

შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად კოლექტივის მიერ დღემდე გაწეული მუშაობის შედეგებსა და მომავალ ამოცანებს მიეძღვნა საწარმოს აქტივის გაფართოებული თათბირი, რომელიც ამ დღეებში ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყეს.

• • •

შახის საამქროს წითელი კუთხის ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამეურნეო ხელმძღვანელები, საამქროთა და განყოფილებათა უფროსები, ინჟინერ-ტექნიკოსები, კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, ეკონომისტები, ეკონომიისათვის ლაშქრობის მოწინავენი, წარმოების ნოვატორები და რაციონალიზატორები.

თათბირი გახსნა და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში საწარმოს კოლექტივის სამეურნეო საქმიანობის შესახებ ილაპარაკა ქარხნის დირექტორმა შ. კიკნაძემ.

შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად გაწეულ მუშაობაზე ინფორმაცია გააკეთა საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსმა გ. გაბიძაშვილმა.

თათბირზე გაიმართა აზრთა ცხოველი და საინტერესო ურთიერთგაზიარება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს ცალკეული საამქროების, განყოფილებების, უბნების, ქარხნის მთელი კოლექტივის, აგრეთვე ეკონომიისათვის ბრძოლის მოწინავეთა მუშაობას და გაბედულად ამხილეს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, წამოაყენეს კონკრეტული, საქმიანი წინადადებანი ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ვბეჭდავთ თათბირზე გამოსული ზოგიერთი ამხანაგის სიტყვას.

2.000.000

ყველა რეზერვი — მოქმედებაში

შ. კიკნაძე,
ქარხნის დირექტორი.

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი ქარხნის კოლექტივი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, განსაკუთრებული აღმავლობით შრომობს შვიდწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, უფრო უნარიანად ავლენს და იყენებს მდიდარ შინაგან რეზერვებს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

როგორც ცნობილია, ჩვენს საწარმოს კოლექტივი გამოვიდა ინიციატივით, რათა შეიქმნას შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდი ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, წარმოების ძირითად და დამხმარე საშუალებათა ეკონომიის გზით.

ჩვენ ვიკისრეთ მივაღწიოთ ზეგეგმითს ეკონომიას და 1959 წელს შვიდწლედის ფონდში შევიტანოთ 7 მილიონი მანეთი. ჩვენს წამოწყებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, საწარმოების, მშენებლობათა კოლექტივებმა.

ეს ვალდებულება დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად გადავდგით, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი სიტყვები საქმეს არ სცილდება.

ეკონომიისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანია დანაკარგების, ჩვენს სინამდვილეში კი განსაკუთრებით წუნით გამოწვეული დანაკარგების, შემცირება. ამ მხრივ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საწარმოს კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. ჩვენ ვიკისრეთ წუნით გამოწვეული დანაკარგები 1,2 მილიონი მანეთით შეგვემცირებინა. ფაქტიურად უკვე პირველ კვარტალში ასეთი დანაკარგები 1.268 ათასი მანეთით, ანუ შარშანდელთან შედარებით 53 პროცენტით შევამცირეთ. ამავე პერიოდში 12 პროცენტით შემცირდა ავტომანქანების, ხოლო 7,9 პროცენტით სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება.

აღსანიშნავია, რომ წელს 1 მანეთის სასაქონლო პროდუქციის გამოშვებაზე გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით დანახარჯები შემცირდა 12 კაპიკით, ანუ 9.8 პროცენტით.

ქარხნის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზეგეგმითი ეკონომიის მიღწევა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა საწარმოს კოლექტივი სახელმწიფო გეგმას ასრულებს მთლიანად და გადამეტებით, ამასთან ყველა დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით. ამჟამად ქარხნის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი კოლექტივის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ გარღვევებიდან გამოვიყვანოთ № 2 სამსხმელო საამქრო, რომელიც ეკონომიის ნაცვლად დიდ დანაკარგებს უშვებს.

თვითეული საამქროს, განყოფილების, უბნის, ბრიგადის, ქარხნის ყოველი მუშაკის ღირსების საქმეა თავისი პატრიოტული წვლილი შეიტანოს ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაში, მისი თვითღირებულების შემცირებაში, გასწიოს ეკონომია ყველგან და ყველაფერში და ამით უზრუნველყოს საწარმოს რენტაბელური მუშაობა.

შტაბებში სასიცოცხლო ცნობები მოდის

გ. გაბიძაშვილი,
საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსი.

ეკონომიისათვის ლაშქრობის სახელმძღვანელოდ ქარხანაში შექმნილია საერთო-საქარხნო და საამქროთა შტაბები. გარდა ამისა, ჩვენთან მუშაობს სპეციალური თემატური სექციები. აღნიშნულ კომისიებსა და სექციებში გაერთიანებულია 285 კაცი — ინჟინერ-ტექნიკოსები, ტექნოლოგები, ეკონომისტები, საამქროთა უფროსები, მათი მოადგილეები, ეკონომიისათვის ლაშქრობის მოწინავე ადამიანები, წარმოების ნოვატორები.

შტაბებმა, ანუ ეკონომიურმა კომისიებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა იმისათვის, რომ ეკონომიისათვის ლაშქრობას ნამდვილად მასობრივი ხასიათი მიეცეს. ადგილობრივ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შტაბები თანმიმდევრულ, ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობას იწევენ მუშათა შორის, ყოველმხრივ უწყობენ ხელს მათს შემოქმედებითს ინიციატივას. აგროვებენ ეკონომიისაკენ მიმართულ ყველა, დიდსა და მცირე წინადადებას და იბრძვიან მათი წარმოებაში დანერგვისათვის. ამასთან შტაბები ხელმძღვანელობენ ეკონომიისათვის ლაშქრობის ყველა საქმეს.

ლაშქრობის დაწყებიდან შტაბებში განუწყვეტლივ მოდის სასიხარულო ცნობები. უნდა ითქვას, რომ ქარხნის ისტორიაში არ ყოფილა მუშათა შემოქმედებითი აქტივობის ასეთი მძლავრი აღმავლობა.

აღსანიშნავია, რომ ლაშქრობის დაწყებიდან ორნახევარი თვის განმავლობაში შემოტანილია 1.917 წინადადება ეკონომიისა და მომჭირნეობის შესახებ. ამ წინადადებათა დანერგვის გზით ქარხანას შეუძლია წელს 5 მილიონ 345 ათასი მანეთი დაზოგოს. უკვე დაინერგა 556 ასეთი წინადადება, რაც 2 მილიონ 809 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა.

ლაშქრობის მოწინავე ხაზზე მტკიცედ დადგნენ საწნეხ-საძარე, თერმული, სიჩქარეთა კოლოფის, სარემონტო-მექანიკური, ენერგეტიკული, ამწყობ-საგამომცდელო, № 1 სამსხმელო, ავტომატების საიარაღო-სატვიფრო საამქროებისა და თბოელექტროცენტრალის კოლექტივები. საწნეხ-საძარე საამქროს კოლექტივმა სამ თვეში მიაღწია 242.500 მანეთის ზეგეგმითს ეკონომიას. აქ თვითეულ მომუშავეზე უკვე დაზოგილია 703 მანეთი. თერმული საამქროს კოლექტივმა დაზოგა 167.700 მანეთი, თბოელექტროცენტრალისამ — 238.000 მანეთი, მთავარი კონვეიერის კოლექტივმა — 81.200 მანეთი და ა. შ.

ამასთან, როგორც ეკონომიისათვის ბრძოლის შედეგების შეჯამებამ გვიჩვენა, ცალკეულმა საამქროებმა იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყვეს საწარმოო დავალებათა შესრულება, ნაცვლად ზეგეგმითი ეკონომიისა ზარალი დაუშვეს. ასე ითქმის, მაგალითად, ძრავას, № 2 სამსხმელო და სამოდელო საამქროთა შესახებ.

ჩვენი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით გავავრცელოთ მოწინავე საამქროთა ძვირფასი გამოცდილება, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს, ავიყვანოთ ისინი მოწინავეთა დონემდე და მივაღწიოთ შვიდწლედის ფონდის შესაქმნელად ნაკისრ ვალდებულებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

75.000 მანეთი — პირად ანგარიშზე

ი. ხაზარაძე,
სიჩქარეთა კოლოფის საამქროს პარტბიუროს მდივანი, ნოვატორ-ამწყობი.

ეკონომიისა და აყირათიანობისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი საამქროს კოლექტივს. როგორც ყველაფერში, ამ საქმეშიც კომუნისტები პირველ რიგში მიდიან. შეჯიბრებაში ჩავებით თერმული საამქროს კოლექტივთან და ვიკისრეთ წლის განმავლობაში თვითეულ მომუშავეზე მივაღწიოთ 1.500 მანეთის ზეგეგმით ეკონომიას. საამქროს უფროსმა ა. ჩაკვეტაძემ განვლილ ოთხ თვეში შვიდწლედის ფონდში შეიტანა 5.000 მანეთი, საამქროს ტექნიკური ნაწილის უფროსმა რ. თოთიბაძემ — 10.000 მანეთი, ტექნოლოგმა რ. შვანგირაძემ — 4.635 მანეთი, ამწყობმა ნ. ფხაკაძემ — 7.000 მანეთი. პირადად მე ნაკისრი მქონდა შვიდწლედის ფონდში შევიტანა 100.000 მანეთი. ჩემს სიტყვას პირნათლად ვასრულებ. დღემდე ეკონომიის ჩემს პირად ანგარიშზე მოდის 75.000 მანეთი.

წლის დასაწყისიდან დღემდე უკვე დაინერგა წარმოებაში ჩემი 11 წინადადება. მათ შორის მარტო ერთი წინადადების დანერგვით — სიჩქარეთა კოლოფის შუა ლილვის დამუშავებაზე წინასწარი ხეზვითი ოპერაციების გაუქმებითა და ახალი კონსტრუქციის სამარჯვის გამოყენებით — 34.442 მანეთისა და 96 კაპიკის ზეგეგმითს ეკონომიას მივაღწიე. ამასთან, ყურაღღებით ვეკიდები ყოველ, ერთი შეხედვით, წვრილმანს, ვითვალისწინებ, რომ მცირედისაგან შედგება დიდი, რომ კაპიკებისა და მანეთებისაგან შედგება მილიონები. შევამჩნიე, რომ საჰაერო პნევმატური წნეხის ონკანს შეკუმშული ჰაერი ეპარებოდა, და მას პირადად მე გავუკეთე რემონტი. დანაკარგი თუმცა მცირე იყო, მაგრამ მაინც საბოლოოდ აღიკვეთა. ამით ეკონომიის ჩემს პირად ანგარიშში მცირე თანხა — 14 მანეთი და 40 კაპიკი ჩაიწერა.

მუდამ ახლისა და პროგრესულის ძიებაში ვარ. თათბირის წინაშე პირობას ვდებ მთელი წლისათვის ნაკისრი ვალდებულება ნაბეკარ წელიწადში შევასრულო, დამატებით დავზოგო 50.000 მანეთი და ამრიგად წელს შვიდწლედის ფონდში შევიტანო 150.000 მანეთი.

საამქროს მოწინავე ადამიანები

გ. კუხიანიძე,
შახის საამქროს უფროსი ტექნოლოგი

ჩვენი საამქროს კოლექტივმა აყირათიანი მუშაობით, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით ჯერ კიდევ გასულ წელს სახელმწიფოს 198.000 მანეთი ეკონომია მისცა. წელს საამქროს მშრომელები დიდი შემოქმედებითი აღმავლობით შეუდგნენ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში თავიანთი დანაზოგის შეტანისათვის ბრძოლას. საამქროში მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მონაწილეობით შეიქმნა ეკონომიური კომისია, რომელმაც ფართოდ გაშალა მუშაობა ზეგეგმითი ეკონომიისათვის. ამასთან საამქროს კომკავშირელებმა ჩამოაყალიბეს სპეციალური ეკონომიური ბრიგადა, რომლის წევრები სამაგალითონი არიან შრომაში.

პრაქტიკით დავრწმუნდით, რომ სამუშაოს ნორმები, რომლებიც ჩვენს საამქროში იყო დანერგილი, ვერ გამოხატავდა თვითეული მუშის შრომის ნამდვილ სურათს. გადავსინჯეთ ეს ნორმები, დავნერგეთ ანაზღაურების ახალი წესი, რის შედეგად ოთხ თვეში შვიდწლედის ფონდში რამდენიმე ათეული ათასი მანეთი შევიტანეთ. დღემდე საამქროს მუშა-მოსამსახურეთა მიერ შემოტანილი წინადადებების განხორციელების შედეგად შვიდწლედის ფონდს შევმატეთ 102.300 მანეთი. თვითეულ მუშაზე მივიღეთ 600 მანეთი ზეგეგმითი ეკონომია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ეკონომია გავწიეთ დამხმარე მასალების, ნახევარფაბრიკატების აყირათიანი ხარჯვით.

ვ. ბეგუტაშვილი

გ. გაბიძაშვილი

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ვ. დევიძისა და ნ. რამიშვილის წინადადება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩარხებისა და სამარჯვების შესაკეთებლად გამოყენებულ იქნას წუნდებული დეტალები. ამ ღონისძიებათა დანერგვით ქარხანა წლიურად 60.000 მანეთს მიიღებს. ასევე საინტერესოა ოსტატ გ. ქაჯაიას წინადადება, რომელიც წუნდებული საფარების გამოყენებას ითვალისწინებს. ეს ღონისძიება საწარმოს წლიურად 10.000 მანეთი ეკონომიას აძლევს. კარგი წინადადებები წამოაყენეს აგრეთვე ტექნოლოგმა ა. ნუცუბიძემ, ამწყობებმა ვ. ლანცევმა, ა. მურუსიძემ, რომელთა დანერგვით საწარმომ ათასობით მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

საამქროს კოლექტივი აძლიერებს ბრძოლას შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის გამდიდრებისათვის.

შ. კიკნაძე

ი. ხაზარაძე

ერთ მუშაზე — 1 200 მანეთი

ა. მეტონიძე,
ხარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი.

ეკონომიური კომისია, რომელიც ჩვენს საამქროში შეიქმნა, თავის სხდომებზე ისმენდა ინფორმაციებს ცალკეული უბნების მუშაობის შესახებ, განიხილავდა შემოსულ წინადადებებს, ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში სახსრების შეტანასთან. კომისიაში შემოსული 105 წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 40 წინადადება. მათი განხორციელების შედეგად შვიდწლედის ფონდში უკვე 50.337 მანეთი შევიტანეთ. სულ წლის ბოლომდე შეტანილი იქნება 124.337 მანეთი.

ამასთან მიმდინარე წლის სამი თვის მანძილზე გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია გამოვუშვით. პირველ კვარტალში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 54.400 მანეთით შევამცირეთ და ამით ათასები შევმატეთ შვიდწლედის ფონდს. გარკვეულ ეკონომიას მივაღწიეთ აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართველო აპარატის შემცირების გზითაც.

ამრიგად, სამი თვის მანძილზე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების შედეგად დავზოგეთ 129.100 მანეთი, ხოლო თვითეულ მომუშავეზე საშუალოდ — 645 მანეთი.

ჩვენ მომზადებული გვაქვს და ამ დღეებში მოვაწყობთ საამქროს ეკონომიურ კონფერენციას, რომელიც დაგვეხმარება ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი წლის ბოლოსათვის ერთ მომუშავეზე დავზოგოთ 1.200 მანეთი და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში.

ჩვენი დანაზოგები

ვ. ბეგუტაშვილი,
საიარაღო-სატვიფრო საამქროს ზეინკალი.

ჩვენს საამქროში დიდძალი რაოდენობით მზადდება ტვიფრები. აქედან ამ პროდუქციას საექსპლოატაციოდ სამეედლო საამქროში ვგზავნით. ხმარების შემდეგ ტვიფრები აღსადგენად ისევ ჩვენს საამქროში ბრუნდება. აღდგენისათვის კი საჭიროა მათი მექანიკური დამუშავება და სხვა პროცესების განხორციელება. ამიტომ ისინი 12 საათის განმავლობაში მოთავსებულ უნდა იქნას ელექტროღუმელში. ყველა ამ პროცესის გავლის შემდეგ ტვიფრი განსაზღვრული სიმაგრის მისაღებად გადადის საწრთობ განყოფილებაში, სადაც ელექტროღუმელში დაჰყოფს 48 საათს. ყოველივე ეს დიდ დროსა და სახსრების მნიშვნელოვანი რაოდენობით ხარჯვას მოითხოვს.

მე შევიმუშავე ისეთი მეთოდი, რომელიც ამარტივებს ყველა ამ ოპერაციის განხორციელებას, რის შედეგად დავაჩქარე ტვიფრების მექანიკური დამუშავება, მივაღწიე სახსრების ხარჯვის მნიშვნელოვნად შემცირებას. ამასთან ნაწრთობი ტვიფრების დამუშავებას ვაწარმოებ ჩამოწერილი საჭრისების გამოყენებით. ასეთი მუშაობის შედეგად ყოველთვიურად ვაღწევ 1.364 მანეთის ეკონომიას, რაც შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შემაქვს.

მთავარია ზრუნვა ეკონომიისათვის

თ. ვაჩაძე,
თბოელექტროცენტრალის დირექტორი.

საწარმოს ეკონომიური კომისიის, მთელი კოლექტივის ენერგიული მუშაობით მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ შვიდწლედის ფონდის შექმნის საქმეში. ჩვენთან შემოტანილია 216 წინადადება. აქედან უკვე დანერგილი გვაქვს 180. ამის შედეგად 248 ათასი მანეთი ეკონომია მივიღეთ. ამასთან მარტო პირველ კვარტალში პროდუქციის თვითღირებულების შემცირ ე ბ ი თ 237.400 მანეთი დავზოგეთ.

ჩვენი მაჩვენებლები ძირითადად მიღწეულია ქვანახშირის აყირათიანი ხარჯვით, საკუთარი მოხმარებისათვის ელექტროენერგიის დაზოგვით, ხელფასის დამხმარე მასალების ეკონომიით და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს ზღვარი როდია. ჩვენ კიდევ მრავალი რეზერვი გვაქვს, რომელთა ამოქმედება და მთლიანად გამოყენება დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს და მნიშვნელოვნად გაზრდის შვიდწლედის ფონდში ქარხნის კოლექტივის მიერ შეტანილი სახსრების როოდენობას. მაგალითად, ჩვენ მეტი კონტროლი უნდა დავაწესოთ ქვანახშირით დატვირთული ვაგონების გადმოტვირთვაზე. საქმე ის არის, რომ მტვირთვთა დაუდევრობის შედეგად ვაგონები მთლიანად არ იცლება და სათბობის გარკვეული რაოდენობა უკან ბრუნდება. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, მაგრამ დანაკარგებისათვის ბრძოლაში იგი დიდად საყურადღებო საქმეა. ჩვენ ამ მიმართულებით უფრო გავაძლიერებთ კონტროლს და აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს.

ამასთან საჭიროა ქარხნის ზოგიერთი საამქროს ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ორთქლისა და შეკუმშული ჰაერის რაციონალურად ხარჯვას, რაც მნიშვნელოვან ეკონომიას მოგვცემს.

მასოგრიოგა წარმატების საწინდარია

შ. ჭოხონელიძე,
თერმული საამქროს უფროსის მოადგილე.

საამქროს ეკონომიურ კომისიაში შემოსული 70 წინადადებიდან მიღებულ იქნა 55, ხოლო დაინერგა 30 წინადადება. ამის შედეგად საამქროს კოლექტივმა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 87.000 მანეთი შეიტანა. მიმდინარე წლის ოთხ თვეში თვითეულ მომუშავეზე შეტანილია 467 მანეთი.

ერთი შეხედვით უბრალო რამეა დამუშავებული საფანტის ხელახლა გამოყენება, თითქოს არც თუ ისე მნიშვნელოვან თანხას მოგვცემს. მაგრამ ამ საქმემ გვიჩვენა, რომ დამუშავებული საფანტის გაცრა და გამოყენება კვარტალის განმავლობაში 270 მანეთ ზეგეგმიურ ეკონომიას იძლევა. ეს პრაქტიკულად დაამტკიცა ჩვენი საამქროს ნამზადის გამწმენდმა უ. ჯანელიძემ. მან საამქროს ტექნიკურ ნაწილში შეიტანა დამუშავებული საფანტის გამოყენების წინადადება და პრაქტიკულად თვითონვე განახორციელა ეს მეთოდი.

მნიშვნელოვან ეკონომიას მივაღწიეთ აგრეთვე სინტინის აყირათიანი ხარჯვით. მაგალითად, ამ უბანზე მომუშავე მწრთობელმა აბულაძემ სამი თვის მანძილზე შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 790 მანეთი შეიტანა.

ზეგეგმიური ეკონომიისათვის ლაშქრობის ძალა მასობრივობაშია. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩაებას ყველა — მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი, მოსამსახურე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უშუალოდ ჩარხებთან მომუშავე ადამიანების წინადადებების განხილვას, რომლებიც ყველაზე მეტი ეკონომიის მომცემია. საჭირო იქნება ფართოდ დავუშვიროთ მხარი ასეთი ადამიანების წინადადებებს, დავნერგოთ ისინი და წავახალისოთ ამ წინადადებათა ავტორები. ასეთი ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის გამდიდრებას.

მუყაითი შრომის შედეგი

მ. კოპალიანი,
ხაწნეხ-საძარე საამქროს ლითონსაჭრელი უბნის ბრიგადის ხელმძღვანელი

ქარხანაში 1952 წლიდან ვმუშაობ. თავიდანვე გულდასმით ვსწავლობდი ლითონის ჭრის პროფესიას. ამ საქმეში კარგად მეხმარებოდნენ ჩემი უფროსი ამხანაგები, ლითონის ჭრის გამოცდილი ოსტატები. მალე ლითონმჭრელთა ბრიგადა ჩამაბარეს. მუშაობის პირველი დღეებიდანვე მთავარ ყურადღებას მასალების ეკონომიურად ხარჯვას ვაქცევდი. განსაკუთრებით მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს მივაღწიეთ ნარჩენების გამოყენების გზით.

როცა ჩვენს ქარხანაში გაიშალა შეჯიბრება შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნისათვის, ჩემი ბრიგადის წევრებიც ფართოდ ჩაებნენ ამ საყოველთაო ბრძოლაში. გადავწყვიტეთ წლის ბოლომდე თვითეულ მუშაზე მივაღწიოთ 1.400 მანეთი ეკონომიისათვის. ნაკისრი ვალდებულება საქმედ ვაქციეთ, ოთხი თვის მანძილზე ჩვენი წინადადების დანერგვით შვიდწლედის ფონდში შევიტანეთ 119.000 მანეთი. ამრიგად, ნაცვლად 1.400 მანეთისა ბრიგადის თვითეულმა წევრმა 1.700 მანეთი დაზოგა.

ბრიგადის ყველა წევრი ენერგიულად შრომობს ელექტროენერგიის აყირათიანად ხარჯვისათვის, ზრუნავს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ასეთი მუშაობის შედეგად ყოველთვიურ დავალებებს 105-106 პროცენტით ვასრულებთ.

ჩვენი პატარა კოლექტივი ენერგიას არ დაზოგავს იმისათვის, რომ პატრიოტული შრომით ხელი შეუწყოს ქარხნის მთელი კოლექტივის საერთო ბრძოლას შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის გაზრდისათვის.

• • •

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ავტომატების საამქროს უფროსი ბ. გურესაშვილი, სიჩქარეთა კოლოფის საამქროს უფროსი ა. ჩაკვეტაძე. მათ მრავალი საინტერესო წინადადება წამოაყენეს საწარმოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის გამდიდრებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს კიდევ უფრო გაძლიერონ აქტივობა, დაუცხრომლად იბრძოლონ ლაშქრობის მასობრივობისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩამორჩენილი საამქროებისა და უბნების საქმიანობას, დაეხმარონ მათ იმაში, რომ ისინი საწარმოო დავალებებს ასრულებდნენ ყველა დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით, არ უშვებდნენ წუნს, დანაკარგებს.



1965 წელს 1958 წელთან შედარებით ავტომობილების გამოშვების ზრდა.



1959 წლის ბოლოსათვის შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილი თანხა.

როცა დამსვენებლებს აბუჩად იგდებენ...

აჭარის კურორტებს უკვე ეწვივნენ დამსვენებელთა პირველი ჯგუფები. მათ მომზადებული შეხვდნენ სანატორიუმები „აჭარა“ და „პოროხი“, დასასვენებელი სახლები „მახინჯაური“, „იალქანი“, „შუქურა“... აჭარის სანაპიროს სიმშვენიერით, მისი შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით და მომსახურების მაღალი კულტურით კმაყოფილებას გამოთქვამს ასობით ავადმყოფი და დამსვენებელი. ჩვენ აღტაცებით გვესაუბრა დასასვენებელ სახლ „შუქურას“ დამსვენებელი, ცნობილი პირველი რუსი აერონავსანი და მფრინავი, ამჟამად პერსონალური პენსიონერი, მოსკოველი პროფესორი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ანოშჩენკო.

— ბევრი რამ მსმენია და წამიკითხავს საქართველოს ამ კუთხის შესახებ, — თქვა მან, — მაგრამ ასეთი ზღაპრული სანახაობა მაინც ვერ წარმომედგინა. მომხიბლავი და მარადსამახსოვროა ლურჯად მოლივლივე ზღვის ფონზე სუბტროპიკული მცენარეებით დაფარული შესანიშნავი მთაგორიანი სანაპირო. ლაღი, გულკეთილი და უზომოდ სტუმართმოყვარეა აჭაური ხალხი. არასოდეს არ დამავიწყდება აქ გატარებული დღეები და მომსახურე პერსონალის გულისხმიერება. მომავალშიც არაერთხელ ვეწვევი აქაურობას.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ აჭარის კურორტთა სამმართველომ და საკურორტო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს ავადმყოფთა და დამსვენებელთა სანიმუშოდ მომსახურებისათვის.

ქობულეთის ბავშვთა სანატორიუმი, რომელსაც ექვს წელზე მეტია ხელმძღვანელობს ექიმი ე. ხუნწარია, ცუდად მუშაობს. სანატორიუმში დღემდე არ არის შექმნილი ელემენტალური პირობები ბავშვთა ნორმალური მკურნალობა-დასვენებისათვის. საძინებელ და სათამაშო ოთახებში, სასადილოსა და სამზარეულოში ანტისანიტარული მდგომარეობაა. თითქმის ყველა ოთახში, მათ შორის სასადილოსა და სამზარეულოში, აბლაბუდებია; კედლები და მინები ჭუჭყიანია, სახურავში წყალი ჩამოდის. სანატორიუმი მთლიანად უზრუნველყოფილი არ არის რბილი და მაგარი ინვენტარით, სათამაშოებით, ბავშვთა ტანსაცმლით. გაუმჯობესებას მოითხოვს კვებაც.

აღსანიშნავია, რომ სანატორიუმში ათამდე ექიმი და ექიმის თანაშემწეა, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ხოლო მთავარი ექიმი ე. ხუნწარია არ იჩენს სათანადო მომთხოვნელობას, აქ დიდი უწესრიგობა და უსუფთაობაა.

ყველაფერი რიგზე არ არის დასასვენებელ სახლ „პრიბოიში“. საცხოვრებელ ოთახებში უსუფთაობაა. არ არის ელექტროგაყვანილობა. დასასვენებელი სახლის კლუბში, რომელიც იჯარით გადაცემული აქვს ქობულეთის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილებას, სანახაობითი ღონისძიებების ჩატარების დროს ხმაური, პაპიროსის წევა და უწესრიგობაა. დასასვენებელი სახლის ეზოში ხშირად ადგილი აქვს ჩხუბსა და სხვა ხულიგნურ გამოვლინებებს. ზოგიერთი დამსვენებელი რეჟიმს არღვევს. „კურორტვაჭრობის“ ზოგიერთი მუშაკი ფარდულებში ჩამოსხმით ჰყიდის მაგარ სასმელებს. მაგალითად, „კურორტვაჭრობის“ № 18 ფარდულში გამყიდველ ჯ. ცეცხლაძის მაგიერ დახლში იდგა ვინმე რ. გოგიბერიძე, რომელიც დამსვენებლებს კონიაკით და ლიქიორით „უმასპინძლდებოდა“.

არსებითი ნაკლოვანებებია ავადმყოფთა და დამსვენებელთა კულტურულ მომსახურებაში. მათ უმთავრესად უჩვენებენ მოძველებულ კინოსურათებს. ბიბლიოთეკები ღარიბია მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურით. იშვიათად ეწყობა საინტერესო ლექციო-მოხსენებები და ექსკურსიები. ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი ბევრგან მოუვლელი და დაუმუშავებელია. საქართველოს სარეწაო დამზღვევი საბჭოს ქობულეთის დასასვენებელი სახლის ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა თანამედროვე მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, მათ შორის პარტიის XXI ყრილობის მასალებიც კი.

საკურორტო სეზონს მოუმზადებელი შეხვდა კურორტვაჭრობის ქობულეთის განყოფილება. მაღაზიები და კვების ობიექტები შეუკეთებელი და მოუწესრიგებელია. კურორტვაჭრობის № 4 სასადილოს (გამგე ო. ცინცაბაძე) ირგვლივ ანტისანიტარული მდგომარეობაა.

მოუგვარებელია პურით ვაჭრობა. საკურორტო ზონის მაღაზიებში პური შეაქვთ არა დილის საათებში, არამედ საღამოობით, ზოგჯერ კი დღეგამოშვებითაც, რის გამო დამსვენებლები და ადგილობრივი მცხოვრებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

საკურორტო ზონის მაღაზიებში ნაკლებად იშოვნება სეზონის სამრეწველო საქონელი, სუვენირები, საკონდიტრო ნაწარმი და სხვ. მაღაზიებში ყურადღება არ ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას.

სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლების მუშაკები და დამსვენებლები საყვედურს გამოთქვამენ, რომ ისინი ჯერ კიდევ სუსტად მარაგდებიან ბოსტნეულით, კარტოფილით, რძის პროდუქტებით და თევზეულით.

აჭარის კურორტებზე ყოველდღიურად სულ უფრო მეტი რაოდენობით მოდიან დამსვენებლები. საჭიროა უმოკლეს დროში აღმოიფხვრას აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებანი და ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩვენი შესანიშნავი ჯანმრთელობის კერები სანიმუშოდ მოემსახურონ ავადმყოფებსა და დამსვენებლებს.

მათ, რომლებიც ასე აბუჩად იგდებენ დამსვენებლებს, პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

ვ. სიორიძე,
აჭარის პროფსაბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ხოვლელების საწუხარი

ამ სათაურით „კომუნისტის“ 11 მარტის ნომერში დაბეჭდილი მამხილებელი წერილი შეეხებოდა კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს კეთილმოწყობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბასიაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია, კასპის პარტრაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ ხოვლეს კეთილმოწყობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სოფლის უგრალო ადამიანები

სამკითხველოს გამგე

ხოფელ ზეღდულეთის (გორის რაიონი) სამკითხველოში უჩვეულო ჩოჩქოლი იდგა. სამკითხველოს გამგე ქსენია სამადალაშვილი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით სავსე მაგიდას მისჯდომოდა და გამლელებით რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში. სხვები კედლებზე აკრავდნენ დიაგრამებს, ფოტორეპროდუქციებს ხილის, სიმინდისა და შაქრის ჭარხლის დამუშავების აგროტექნიკის შესახებ. სამკითხველოს აქტივისტები იქვე კუთხეში გულდასმით აწყობდნენ გამოფენას. — „მოწინავე გამოცდილება — მასებს“.

— ნეტავ მოვლენ, დაინტერესდებიან? — ღელავდა ბიბლიოთეკარი ნინო ცერცვაძე.

— მოვლენ! — დამშვიდებით იღიმებოდა სამადალაშვილი. — ასეთ კონფერენციებს სოფლის სამკითხველოები არც თუ ისე ხშირად აწყობენ.

ცერცვაძის შიში ნამდვილად უსაფუძვლო გამოდგა.

საღამოს სამკითხველოს ოთახში ტევა არ იყო. მშრომელებს აინტერესებდათ კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირის ვასილ მაისურაძის მოხსენება ხილის მოყვანაში ბრიგადის გამოცდილების შესახებ.

— აბა, ვასილ, შენ იცი, ნურც სიტყვაში გაგვიცრუებ იმედს! — ასეთი მეგობრული წამოძახილებით აქეზებდნენ კუთხეში მიმჯდარ, ცოტა არ იყოს, აღელვებულ ბრიგადირს.

მოხსენება მართლაც საინტერესო იყო.

— როგორც ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ისე ხილის მაღალი მოსავლის მიღებისათვის, — განაცხადა მომხსენებელმა, — მთავარია ხეხილის მოვლის ვადებს იცავდე. სამუშაოს ხარისხიანად ასრულებდე. ჩვენი ბრიგადა მუდამ ზუსტად იცავს აგროტექნიკის წესებს.

მაისურაძის ბრიგადამ შარშან 17 ჰექტარ ხეხილის ბაღში საშუალოდ ჰექტარზე 170 ცენტნერი ვაშლი მოიყვანა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა.

გვიანობამდე კამათობდნენ კოლმეურნეები, თავიანთ აზრსა და გულისნადებს უზიარებდნენ ერთმანეთს. კმაყოფილებით უმენდა მათ სამკითხველოს გამგე სამადალაშვილი. მკითხველთა კონფერენცია შინაარსიანად წარიმართა. ხალხიც კმაყოფილი და ახალი შთაბეჭდილებებით სავსე დაიშალა.



— აი ასეთი კონფერენციები ხშირად რომ ეწყობოდეს, მართლაც კარგი იქნება. კოლმეურნეობაში ბევრი მოწინავე ადამიანი გვყავს და მათი მუშაობის გამოცდილების გავრცელება-გაცნობა დიდი სასიკეთო საქმეა, — ეუბნებოდნენ გამომშვიდობებისას სამადალაშვილს კოლმეურნეები.

სამკითხველოს გამგემ კარგად იცის ამ ძუნწი შექების ფასი. ამ გამრჯე ადამიანების სიყვარული მაღალფარდოვანი სიტყვებით როდი გამოიხატება. თვითონ სამადალაშვილმაც ერთგული მუშაობითა და მცდელობით დაიმსახურა მკითხველთა სიყვარული.

* * *

სოფლის სამკითხველოს, რომლის წიგნის ფონდში სამი ათასამდე პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურაა, 223 მკითხველი ჰყავს. აქედან ნახევარზე მეტი კოლმეურნეა. სამკითხველოს აქტიური მკითხველები არიან კოლმეურნეები ზაქარია გოგიძე, ნინო სამადალაშვილი, ტრაქტორისტი იოსებ სამადალაშვილი, ბრიგადირი გიორგი ცერცვაძე, მეწისქვილე ზურაბ ცერცვაძე, აგრონომი ანდრო ვართუმაშვილი და სხვები.

კარგად არის მოწყობილი ახალი წიგნების პროპაგანდაც. ბიბლიოთეკარი ნინო ცერცვაძე გულმოდგინედ ეხმარება მკითხველებს წიგნების შერჩევაში. ბიბლიოთეკარი წიგნის შინაარსის წინასწარ მოკლე გაცნობით აინტერესებს მკითხველს ამა თუ იმ ნაწარმოებით.

სამკითხველოს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის ინტელიგენცია. სოფლის მასწავლებლები ბარბარე კუთათარაშვილი, გიორგი ვართუმაშვილი, თენგიზ რაზმაძე, ექიმები მარგარიტა ქუქიაშვილი, ნადეჟდა გაგნიძე მოსახლეობის წინაშე ხშირად გამოდიან მოხსენებებით.

სამკითხველოს ერთი კუთხე დათმობილი აქვს პარტიის XXI ყრილობის მასალების გამოფენას; ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი „წითელი სხივი“. ხშირად ეწყობა ხმამაღლა კითხვა, მკითხველთა კონფერენციები. მუშაობენ აგრონომიული, დრამატული, ჭადრაკის, სანიტარული წრეები.

სამკითხველოს გამგე ქსენია სამადალაშვილი ამავე დროს კარგი აგიტატორიც არის. მან თავისი ხელით კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში მოაწყო წითელი კუთხე. მისივე წინადადებით კოლმეურნეობის გამგეობამ ფერმაში გაიყვანა რადიო. მწველავები ყოველთვის ინტერესით ისმენენ ხოლმე სამკითხველოს გამგის საინტერესო საუბრებს.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მზე მწყემსების სამსახურში



ერთ-ერთი ტიპის წყლის სადღეგრძელი ჰელიოპარატი.

* * *

ზამთრის თუ ზაფხულის საძოვრებზე ამრავლებენ, ზრდიან და უვლიან ძვირფას სახალხო დოვლათს — ცხვარს. ჩვენი მწყემსები წვიმასა თუ დარში მუდამ ფხიზლობენ, მუდამ საგუშაგოზე არიან, ზოგჯერ ყოველგვარ კომუნალურ მომსახურებას მოკლებულნი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის ჰელიოკომისიაში განიხილეს მათთვის, ისევე როგორც სოფლის ყველა მეურნეობათვის მეტად საინტერესო საკითხი: „როგორ გამოვიყენოთ მზე, როგორც თბური ენერგიის უშრეტი წყარო სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში?“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკული ინსტიტუტის თბოტექნიკოსებმა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, კერძოდ სოფლის მეურნეობაში მზის ენერგიის გამოსაყენებლად რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა მოაწყეს და ცდები დააყენეს.

თბოტექნიკოსებმა სხვა წინადადებათა შორის წარმოადგინეს წინადადება, რომ თბილისში მოეწყოს წყლის გასაცხელებელი გადასატან-გადმოსატანი მზის დანადგარების წარმოება.

კომისიამ მიზანშეწონილად ცნო ამ წინადადების განხორციელება, მილისებრი წყლის გამცხელებელი მზის დანადგარების ხერხიული გამოშვება კომუნალური აბანოებისათვის და პორტატული დანადგარების გამოშვება — საძოვრებზე გასაგზავნად. ამასთან კომისიამ საჭიროდ ცნო დაწყებულ იქნას მუშაობა წყლის სადღეგრძელი მზის პატარა დანადგარებისა და მზის ადვილად გადასატან-გადმოსატანი პატარა სამზარეულოების გამოსაშვებად. მალე შეშა აღარ დასჭირდებათ მწყემსებს, მზის სხივები ჩადგება მათს სამსახურში.

ქარმა საქმე გაგვიკეთოს

ქარის ენერგეტიკის საკავშირო ინსტიტუტის გამოანგარიშებით საბჭოთა კავშირში ქარის ძალის გამოყენებით შეიძლება ყოველწლიურად გამოვიმუშაოთ 18 ათასი მილიარდი კილოვატსაათი ენერგია, ე. ი. ბევრად მეტი, ვიდრე საწვავის არსებული და გეოლოგიური ძიებით დადგენილი რეზერვები შეიცავენ. ქარის ენერგიის გამოყენებას საუკუნეების ისტორია აქვს, მაგრამ საქართველოში, ბუნების სიკეთით განებივრებულ ჩვენს ქვეყანაში, ქარის ენერგიის გამოყენებას ჯერჯერობით ყურადღება არ ექცეოდა. ახლა კი დადგა დრო, რომ იქ, სადაც უფრო ხელსაყრელი იქნება და უფრო იაფი დაგვიჯდება, ქარის ენერგია გამოვიყენოთ ელექტროენერგიის მისაღებ წყაროდ — ელექტროწველისათვის, ელექტროპარსვისათვის, ხილისა და ბოსტნეულის სახმობად, მთელ რიგ სხვა ხასიათის სასოფლო-სამეურნეო შრომითი პროცესების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილმა რესპუბლიკის საწარმოო ძალთა შემსწავლელმა საბჭომ და ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა გამოიანგარიშეს, რომ თუ სათანადო დანადგარებს გავმართავთ, რესპუბლიკაში შეგვიძლია საშუალოდ ყოველწლიურად მივიღოთ 30 მილიარდი კილოვატსაათი ქარის ელექტროენერგია. ამასთან გამოვლინებულია ქარის ენერგიის მიღების მხრივ ყველაზე ხელსაყრელი რაიონები, სადაც შეიძლება ქარის ენერგიის დანადგარები შეუფერხებლად ვამუშაოთ. ასეთი რაიონებია — სურამისა და ნაქერალის ქედები, გორი-ქარელის, თბილისი-დიღმის, სამგორ-რუსთავის რაიონები, თრიალეთისა და ჯავახეთის ზეგანები.

საქართველოში ქარის ენერგიის გამოყენების ყველა ეს პირობები მხედველობაში მიიღო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა და მიზანშეწონილად აღიარა წელსვე იქნას დაწყებული სათანადო წინასწარი საექსპერიმენტო სამუშაოები. ამ მიზნით გადაწყვეტილია დიღმისა და სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში წელსვე გამართონ ქარის საექსპერიმენტო დანადგარები. ხოლო სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება მიენდო სასოფლო ელექტროსადგურების დამპროექტებელ ორგანიზაციას. მშენებლობისა და დანადგართა მონტაჟის განხორციელება კი დავალებული აქვს საქართველოს სოფელელექტრომშენს.



საბჭოთა კონსტრუქციის ქარის მცირეძალიანი ელექტროსადგურის ხედი. ელექტროსადგურის სიმძლავრე 38 ცხენის ძალაა.

არჩეული

ბის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი მატების წელი იყო. ი ციფრები: კოლმეურნეობამ სამშობლოს მისცა 215 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 6 ათასი კილოგრამი ციტრუსი, 5 ტონა აბზარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ლადო ტუღუშმა ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 25 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეობაში 27 მანეთი განაწილდა. ბევრ კოლმეურნეს 15-20 ათასი მანეთი ერგო. ამასთან თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლითაც გაამდიდრა ოჯახი.

სოფელ არჩეულში ახლა 160 კომლია. შეხედეთ მათი ცხოვრების დონეს, და დარწმუნდებით საკოლმეურნეო წყობილების დიდ უპირატესობაში. მისი წყალობით კეთილსინდისიერი შრომისა და ურთიერთდახმარების მეოხებით თითქმის ყველას აქვს საუცხოო ავეჯით მორთული ოდასახლი, კარმიდამოს ამშვენებს ხეხილი, ვენახი, მთელი სოფელი რადიოფიცირებულია.

მოპოვებულ წარმატებებს როდი სჯერდებიან ნინოშვილელი კოლმეურნეები. მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს მკვეთრად გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაზარდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქციულობა.

ა რ ა ფ ი ქ რ ო ბ ე ნ ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ე ლ ე ბ ი: მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 230 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 218 ტონისა, დათესავენ ერთწლიან კულტურებს 162 ჰექტარზე, მათ შორის 100 ჰექტარ სიმინდს სამარცვლედ, რომლის მოსავლიანობას ჰექტარზე აიყვანენ 18 ცენტნერამდე. ახლა აქ ფართო შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის. მათ გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს, იკისრეს და შეასრულებენ კიდეც.

საიუბილეო დღეებში მთელი არჩეული ელექტროფიცირებულ იქნა. უკვე გაიყვანეს მაღალი ძაბვის ხაზები, დადგეს ტრანსფორმატორები. და როცა სოფელში ზეიმით აღინიშნა ეგნატე ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავი, სიმის სხივები მოჰფინეს ილიჩის ნათურებმა. კოლმეურნეებმა ჩართეს რადიომიმღებები და შრომის შემდეგ მოისმინეს ცნობები იმ დიდ წარმატებებზე, რასაც აღწევენ საბჭოთა ადამიანები პარტიის ოცდამეერთე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის არძოლაში.

ბედნიერად ცხოვრობენ ახლა არჩეულელი კოლმეურნეები. მათი ხვალინდელი დღე კიდევ უკეთესი იქნება.

მ. ბარამიძე,
ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „სოციალისტური შრომის“ რედაქტორი.

ეგნატე ნინოშვილი

ნინოშვილის ოცნება ახდა. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, კოლმეურნის მარჯვენას დაემორჩილა მადლიანი მიწა და წყალი. ახალმა ცხოვრებამ ხალხს სიხარული და ბედნიერება მოუტანა.

სოფელ არჩეულის ეგ. ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობას გრძნობენ. და წარმატებებს წარმატებებზე აღწევენ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

გასული სამეურნეო წელი სასოფლო-სამეურნეო კულტურეთა სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტის ბელიოკომისიაში განიხილეს მათთვის, ისევე როგორც სოფლის ყველა მეურნეობათვის მეტად საინტერესო საკითხი: „როგორ გამოვიყენოთ მზე, როგორც თბური ენერგიის უშრეტი წყარო სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში?“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკული ინსტიტუტის თბოტექნიკოსებმა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, კერძოდ სოფლის მეურნეობაში მზის ენერგიის გამოსაყენებლად რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა მოაწყეს და ცდები დაიყენეს.

თბოტექნიკოსებმა სხვა წინადადებათა შორის წარმოადგინეს წინადადება, რომ თბილისში მოეწყოს წყლის გასაცხელებელი გადასატან-გადმოსატანი მზის დანადგარების წარმოება.

კომისიამ მიზანშეწონილად ცნო ამ წინადადების განხორციელება, მილისებრი წყლის გამცხელებელი მზის

ეგნატე ნინოშვილი

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

ტექნიკა

გერმანელი მეცნიერი პროფესორ თ. წერეთლის წიგნის შესახებ

1957 წელს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რუსულ ენაზე გამოსცა პროფესორ თინათინ წერეთლის მონოგრაფია „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“ (რედაქტორი ი. ს. დოლიძე). სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა ავტორის მიერ განხილულია სისხლის სამართლის ძირითად საკითხებთან, სახელდობრ, ბრალთან, მცდელობასთან, თანამონაწილეობასთან და ა. შ. მჭიდრო კავშირში, რაც დიდად უწყობს ხელს სისხლის სამართლის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრასაც.

პროფესორ თ. წერეთლის გამოკვლევამ უაღრესად დადებითი შეფასება ჰპოვა სამართლის საბჭოთა მეცნიერებაში. ამას მოწმობს ჟურნალებში „Правоведение“ (1957, № 1), „საბჭოთა სამართალი“ (1958, № 4) და „Советское государство и право“ (1959, № 4) გამოქვეყნებული რეცენზიები.

ქართველი მეცნიერის წიგნს ჯრცელი რეცენზიით გამოეხმაურა ფრანგი გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული ჟურნალი „Staat und Recht“ („სახელმწიფო და სამართალი“, 1959, № 4). რეცენზიის ავტორია ჰალის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დოქტორი იონ ლეკშასი, გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, რომლის ერთ-ერთი გამოკვლევა მიძღვნილია სწორედ მიზეზობრივი კავშირის პრობლემისადმი.

პროფესორი ი. ლეკშასი დაწვრილებით გადმოსცემს პროფესორ თ. წერეთლის წიგნის შინაარს, აღნიშნავს პრობლემის ყოველმხრივი გაშუქების მაღალ თეორიულ დონეს, საგულებით ეთანხმება ავტორს ძირითად დებულებებში და დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან ბურჟუაზიული თეორიების კიტიკაში.

რეცენზენტის აზრით ავტორის დებულებებს „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის“. მოგვყავს რეცენზიის დასკვნითი ნაწილი:

„დასასრულ უნდა თქვას, რომ თ. ვ. წერეთლის ნაშრომი სისხლის სამართალში მიზეზობრიობის შესახებ წარმოადგენს სოციალისტური სისხლის სამართლის მრავალფეროვანი პრობლემების მიმართ საერთოდ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებათა და კერძოდ მარქსისტული კანონზომიერი თეორიის გამოყენების შესანიშნავ დოკუმენტს. პაექრობა ბურჟუაზიულ იდეოლოგიებთან მეცნიერულად ზუსტია და ამით აგრეთვე თანმიმდევრულად პარტიული.

ავტორის მიერ მოცემული ყოველმხრივი გადაწყვეტა პრობლემისა ძირეული შეხედულებაა სისხლის სამართლის სოციალისტური თეორიისათვის და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პრაქტიკას. მიუხედავად მცირეოდენი დაუზუსტებლისა, წინამდებარე ნაშრომი საუკეთესოა, რაც ამ დარგში დღემდე მიეცია სისხლის სამართლის სოციალისტურ მეცნიერებას VEB -ის გერმანულმა ცენტრალურმა გამომცემლობამ უნდა იზრუნოს, რათა ეს წიგნი თარგმანის სახით ხელმისაწვდომი გახდეს გერმანული სისხლის სამართლის თეორიისათვის“

ბ. ბოლაძიძე.

მცირე შენიშვნა

ჩვენს ხელთ არის წიგნი „საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია“. იგი განკუთვნილია IX კლასის სახელმძღვანელოდ და ხელმოწერილია დასაბეჭდად 1958 წლის 10 ივნისს.

ჭიათურელი მოსწავლეების (და არა მარტო მოსწავლეების) გაკვირვება გამოიწვია სახელმძღვანელოს ერთმა ადგილმა. 27-ე გვერდზე ვკითხულობთ.

„ამჟამად მრავალ ქალაქს და მსხვილ დასახლებულ პუნქტში მუშაობს აგურკრამიტისა და კირის ქარხნები, ხოლო თბილისსა და მეტეხში (კასპის რაიონი) —რესპუბლიკური მნიშვნელობის მძლავრი აგურის ქარხნები.

აგურისა და კრამიტის დიდი ქარხნები მუშაობს აგრეთვე: მცხეთაში, გურჯაანში, ნოსირში, ზუგდიდში, ლანჩხუთსა და სხვა მსხვილ პუნქტებშიც, ხოლო ძირულაში — ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა, ჭიათურაში — სილიკატური აგურის ქარხანა და სხვ.“

სილიკატური აგურის ქარხნის მშენებლობა ჭიათურაში კარგახანია დაიწყო, მაგრამ მის დამთავრება-ამუშავებას, მშენებელთა სამარცხვინოდ, არაფერი ეშველა. მისი მშენებლობის გაჭიანურებაზე არსებობს ზემდგომი ორგამოების დადგენილებები. როდესაც აღნიშნული სახელმძღვანელო იბეჭდებოდა, ქარხნის მშენებლობის ჩამორჩენაზე წერდა რესპუბლიკური პრესაც. ქარხნის მშენებლობის დამთავრების დაჩქარებაზე ამას წინათაც იმსჯელეს პარტიის ჭიათურის ქალაქკომის ბიუროს და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ.

ყოველმა ჭიათურელმა იცის, რომ სილიკატური აგურის ქარხანა, სამწუხაროდ, ჯერ არ დამთავრებულა და პროდუქციას არ იძლევა. ეს, რასაკვირველია, არცხვენს ჭიათურელ მშენებლებს. მაგრამ სახელმძღვანელოში ჩაწერა, რომ ჭიათურაში მუშაობს სილიკატური აგურის ქარხანა, გაუგებრობას იწვევს მოსწავლეებში.

სახელმძღვანელოში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ გაყვანილია ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი ზესტაფონი-ჭიათურა. ამით სადგურმა შორაპანმა დაკარგა აღრინდელი მნიშვნელობა, იგი აღარ არის ჭიათურასთან დამაკავშირებელი. მაგრამ აქაური მოსწავლეები სახელმძღვანელოს 141-ე გვერდზე განცვიფრებით კითხულობენ: „ამიერკავკასიის რკინიგზას ჭიათურა სადგურ შორაპანითა და ზესტაფონით უკავშირდება“.

სახელმძღვანელოს 21-ე გვერდზე აღნიშნულია: „ჭიათურის მარგანეცი 1849 წ. იქნა აღმოჩენილი“. ეს თარიღიც არ არის ზუსტი. ახლა საბოლოოდ დადგენილია, რომ ჭიათურის მარგანეცის საბადო პირველად 1846 წელს იქნა აღმოჩენილი, და, ბუნებრივია, სახელმძღვანელოშიც ეს თარიღი უნდა იყოს შეტანილი.

სახელმძღვანელოში ყველაფერი ზუსტი და გასაგები უნდა იყოს. იგი გაუგებრობას არ უნდა იწვევდეს მოსწავლეებში, მკითხველებში.

ბ. ბიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ყოველი მხრიდან

ა. ა. გრომიკოს გამგზავრება საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე

ჟენევა, 12 მაისი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, რომ სანამ დაიწყებოდეს ამ თათბირის დღის წესრიგში დასმული პრობლემების განხილვა, უნდა განხილულ იქნას თათბირის მუშაობაში პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობის საკითხი. ა. ა. გრომიკომ მოიგონა თათბირს, რომ საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ საჭიროა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობა მომავალ მოლაპარაკებაში.

შეიძლება იკითხონ, თქვა ა. ა. გრომიკომ, რატომ არის ლაპარაკი ამ თათბირში სწორედ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობაზე? ზოგი სხვა სახელმწიფონიც ხომ დაინტერესებული არიან გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგებით და დასავლეთ ბერლინში ვითარების გაჯანსაღებით. ეს, რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ, თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რომელ სახელმწიფოებს აქვთ ყველაზე მეტი უფლება, რომ იმ საკითხების გადაჭრის მომზადებაში, რომლებიც გერმანიას შეეხება, ახლანდელ სტადიაშივე მიიღონ მონაწილეობა ოთხ დიდ სახელმწიფოსთან და ორ გერმანულ სახელმწიფოსთან ერთად, მაშინ, ეჭვს გარეშეა, უნდა ვთქვათ, რომ ეს სახელმწიფოებია სწორედ პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ არ იქნებოდა საკმარისი პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა გერმანიის საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ არა როგორც თანასწორუფლებიანმა მხარეებმა, არამედ რაღაც სხვა სახით, მაგალითად, როგორც მეთვალყურეებმა.

პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია, განაცხადა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, გერმანიის მარტო უშუალო მეზობლები როდი არიან. ისინი არა ერთხელ იყვნენ გერმანელ მილიტარისტთა აგრესიული მიზნების ობიექტი. ამიტომ გასაგებია, რომ პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია განსაკუთრებით დაინტერესებული არიან იმით, რომ გერმანიის საკითხი გადაწყდეს რაც შეიძლება მალე და ისეთ საფუძველზე, რომელიც სამუდამოდ გამორიცხავდა სამომარ კონფლიქტებს ევროპაში. ეს არაერთხელ განუცხადებიათ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიას, მათ შორის ჯერ კიდევ პოტსდამის კონფერენციის დროს.

ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ რევანშისტული მიზნები პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიმართ, რასაც არ მალავენ გარკვეული წრეები დასავლეთ გერმანიაში, — ერთადერთ სახელმწიფოში, რომელიც მოითხოვს ევროპის პოლიტიკური რუკის შეცვლას.

უკვე მარტო ეს, განაცხადა მინისტრმა, მოწმობს, რომ ჩვენ არა გვაქვს უფლება უარი ვუთხრათ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მათ კანონიერ მოთხოვნაზე მონაწილეობა მიიღონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებასა და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვაში.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა კიდევ ერთი გარემოება, რომლის გამო პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობა არა მარტო კანონზომიერი და გამართლებული ყოველმხრივ, არამედ აგრეთვე აუცილებელი ჩვენი თათბირის წარმატებით მუშაობის ინტერესებისათვის. არ არის საჭირო დიდხანს ვამტკიცოთ, თქვა მან, რომ მთელი საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ახორციელებენ, ყველა მათი გამოსვლა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებშია ეს თუ სხვა რამესთან დაკავშირებით, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ორივე ეს სახელმწიფო არის მშვიდობის საქმის აქტიური და თანმიმდევრული დამცველი, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ევროპის ხალხთა უშიშროების საიმედოდ უზრუნველყოფის მხურვალე მოამბრე.

ასეთია ის მიზეზები, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, რომელთა გამო საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია ამ თათბირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციების მონაწილეობის საკითხი გადაიჭრას თათბირის მუშაობის დასაწყისშივე.

ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი ჟენევის თათბირის სრულუფლებიანი მონაწილენი უნდა იქნენ

ჟენევა, 12 მაისი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღევანდელი გახსნის დღიდან მეორე სხდომის თავარი თემა იყო საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სრულუფლებიანი მონაწილეობის საკითხი.

ამ საკითხზე განცხადება გააკეთა, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, ა. ა. გრომიკომ. იგი თავმჯდომარეობდა დღევანდელ სხდომას, რომელიც 15 საათსა და 30 წუთზე გაიხსნა

შემდეგ გამოვიდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციების მეთაურები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები ა. ა. გრომიკოს განცხადებაში დასმულ საკითხზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. ჰერტერი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც თათბირი შეეხება გერმანიის საკითხს, რომლისთვისაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება 4 სახელმწიფოს, საჭიროა თათბირის შემადგენლობა განისაზღვროს ამ სახელმწიფოებით.

ჯ. ჰერტერმა შეიტანა წინადადება ახლა არ იქნეს განხილული საბჭოთა დელეგაციის მიერ დასმული საკითხი, რომელსაც მან დაუსაბუთებლად უწოდა „საპროცედურო“, იმ დრამდე, „როცა გამართლებულ იქნება ამ საკითხის დასმა“.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა კუვ დე მიურვილმა, რომელიც ჯ. ჰერტერის შემდეგ გამოვიდა, არსებითად გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის არგუმენტაცია. ჩვენ ჯერ კიდევ არ მივსულვართ,

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მეორე სხდომა

ამტკიცებდა იგი, იმ სტადიამდე, როცა დავიწყებთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შექმნას. ამიტომ ჯერჯერობით არ შეგვიძლია მოვიწვიოთ სხვა ქვეყნები. მოკლე სიტყვაში ინგლისის დელეგაციის მეთაური სელვინ ლოიდი შეუერთდა თავის ამერიკელ და ფრანგ კოლეგებს. მან თქვა, რომ რაც უფრო ნაკლები იქნება თათბირის მონაწილეთა რიცხვი, მით უფრო მეტი იქნება წარმატების შანსი. გაიმეორა რა, ისე როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლებმა, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შეყვანა თათბირის მონაწილეთა რიცხვში თითქოს საჭიროდ გახდიდა აგრეთვე სხვა ქვეყნების, მათ შორის იტალიის მოწვევას, სელვინ ლოიდმა განაცხადა, რომ თათბირის მონაწილეთა წრის გაფართოების საკითხი უნდა გადაიდოს შემდგომი დროისათვის. ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ ყურადღებით მოისმინა ჰერტერის, კუვ დე მიურვილისა და ლოიდის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი. აქ ამბობენ, თქვა ა. გრომიკომ, რომ არა მარტო პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია, არამედ სხვა ქვეყნებიც დაზარალდნენ ჰიტლერული აგრესიისაგან და ამასთან ასახელებენ, კერძოდ ნორვეგიას, ბელგიასა და ჰოლანდიას. რომ დაზარალდნენ არა მარტო პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია, არამედ სხვა სახელმწიფოებიც, ეს უდაო ფაქტია. მაგრამ ვერაკაცი უარყოფს, რომ სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა ზომით დაზარალდა — ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად.

შეეხო რა ჯ. ჰერტერის შენიშვნას იმის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა მალე დამთავრებულიყო საპროცედურო საკითხები და დაწყებულიყო იმ არსებითი საკითხების განხილვა, რომლებზეც უნდა იმსჯელოს თათბირმა, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობის საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს საპროცედურად.

დასასრულ ა. გრომიკომ განაცხადა, რომ არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს ამ საკითხის გარჩევა და განხილვა. როგორც თავმჯდომარემ, მან შეიტანა წინადადება შეიკრიბონ ხვალ, 15 საათსა და 30 წუთზე მორიგ სხდომაზე.

ა. ა. გრომიკოს �eდრა ბ-ნ ფონ ბრენტანოსთან

ჟენევა, 13 მაისი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** დღეს დილით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ფონ ბრენტანო და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის ელჩმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ა. ა. სმირნოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგემ ი. ი. ილიჩოვმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვ. გრეგ�e და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების ხელმძღვანელმა გ. დუკიციმა.

პროვოკაციული წამოწყება დასავლეთ ბერლინში

ბერლინი, 13 მაისი. **(საკუთარი კორ.).** საერთაშორისო დაძაბულობის შენელებია მოწინააღმდეგეებმა, ცდილობენ რა გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება და ჩაშალონ მოლაპარაკება აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის, უკანასკნელ ხანს გააქტიურეს თავიანთი პროვოკაციული საქმიანობა დასავლეთ ბერლინში. ამას მოწმობენ მაღალი თანამდებობის ამერიკელი გენერლების „ვიზიტები“ დასავლეთ ბერლინში საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის წინ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ „ბერლინი ღიარ ომად“.

მაგრამ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ამას როდი დასჯერდნენ. ჟენევის თათბირის დაწყების სწორედ მეორე დღეს დასავლეთ ბერლინის სენატორ ბურგომისტრ ბრანდტის მეთაურობით მოახდინა ახალი აქცია, რომელიც მიზნად ისახავს მდგომარეობის გამწვავებას ბერლინში და პოლიტიკური ატმოსფეროს გაუარესებას ჟენევის თათბირის დროს. ამჯერად პროვოკაციას ჰქონდა ვითომდა „ზეიმის“ ხასიათი ეერთვოდებული „დასავლეთ ბერლინის ბლოკადის“ დამთავრების მეათე წლისთავთან დაკავშირებით. ამ დიდ ამბით მოწყობილ „ზეიმზე“ ჩამოვიდნენ ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი გენერლები და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბერლინის გათიშვისათვის და ქალაქის ამ ნაწილის ეგრეთწოდებულ „ფრონტის ქალაქად“ გადაქცევისათვის. მათ შორის იყვნენ ამერიკისა და ინგლისს ყოფილი სამხედრო გუბერნატორები გერმანიაში გენერლები კლეი და რობერტსონი, ეგრეთწოდებული ოპერაციის „საჰაერო ხიდის“ ხელმძღვანელი ამერიკელი გენერალი ტანერი, დასავლეთის სახელმწიფოთა ყოფილი სამხედრო კომენდანტები დასავლეთ ბერლინში, აგრეთვე ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორიც არიან ეტლი და შუმანი. ბონის მთავრობისაგან, რომლის მოწონებითა და მხარდაჭერით მიმდინარეობდა მზადება ამ პროვოკაციისათვის. დასავლეთ ბერლინში ჩამოვიდა რამდენიმე მინისტრი და დასავლეთ გერმანიის ბუნდესრატის თავმჯდომარე. დასავლეთ ბერლინში „ზეიმზე“ ჩამოიყვანეს აგრეთვე იქ ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ პილოტთა ოჯახების წევრები, რომლებიც 1949 წელს დაიღუპნენ თვითმფრინავთა კატასტროფის შედეგად დასავლეთ გერმანიასა და ბერლინს შორის საჰაერო ხაზებზე ფრენის დროს. 1949 წელს ამ ადამიანთა დაღუპვას, რაც დასავლეთის სახელმწიფოთა „ცივი ომის“ პოლიტიკის შედეგია, სრულიად მოურიდებლად ბრალად სდებენ საბჭოთა კავშირს. დასავლეთ ბერლინის გაზეთებმა და რადიომ უკანასკნელ დღეებში ამის გამო გააჩაღეს სიცრუისა და ცილისწმების კამპანია საბჭოთა კავშირისა და მისი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ „ზეიმის“ კულმინაციური პუნქტია გუშინ გამართული მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ბუნდესრატის თავმჯდომარე კაიზენი, გენერალი კლეი, დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი ბრანდტი და სხვები. მათ მოითხოვეს საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნება დასავლეთ ბერლინში და მოუწოდეს დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს დაიცვან „მტკიცე პოზიცია“ საბჭოთა კავშირის მიმართ. რაც სინამდვილეში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოითხოვენ გაგრძელდეს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა.

ვ. ივანოვი.

მისი პირველი გაზაფხული

ის ჯერ სულ პატარაა, მუხლი არ გამაგრებია, მუშტიც ვერ შეუკრავს ღონივრად, ჯერ მიწაზე არ დაუსვამთ, დედის რძე და კალთაა მთელი მისი ცა და სამყარო.

ეს გაზაფხული მისი სიცოცხლის პირველი გაზაფხულია, თვით მას კი არა გაეგება რა. ჯერ არ გაეგება, არ იცის, მაგრამ გავა დრო და მას ეტყვიან, წაიკითხავს, გაიგებს

ამ გაზაფხულის ამბავს, როცა მან პირველად გაახლია თვალი და ნახა ქვეყანა, წაიკითხავს და გაიგებს შვიდწლედის პირველი გაზაფხულის ამბავს, გაიგებს ჩვენი თაობის, კომუნიზმის მშენებელი თაობის გმირული შრომისა და ცხოვრების შესახებ.

მერე კი როცა გაიზრდება და დავაუკაცდება, მუხლი და მკლავი გაუმაგრდება თვით შეებმება შენების და აღმავლობის ახალ ზღუდეებს. ხოლო ეს გაზაფხული, ეს წელი, მისი და ახალი შვიდწლედის დაბადების დიდი წელი, არასოდეს დაავიწყდება...

• • •

ფოტოეტიუდი ვ. კონსუბოვისა.

ჩვენი საზღვარგარეთელი სტუმრები

საქართველოში სტუმრად მყოფი ინდოეთის, ბულგარეთის, ეროყოსა და ცეილონის პროფკავშირული დელეგაციები ოთხი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას, მათ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში, პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას.

მეგობრობისა და პროლეტარული სოლიდარობის ნიშნით ჩაიარა საზღვარგარეთელ პროფკავშირულ მოღვაწეთა ეხვევდრამ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივთან.

საზღვარგარეთელ სტუმრები იყვნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, სადაც დაინტერესდნენ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლით „სვეტიცხოვლით“. გორში მათ დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანთან ი. პ. ხეთაგურთან საუბარში საზღვარგარეთის პროფკავშირული დელეგაციების წევრებს აინტერესებდათ საქართველოს პროფკავშირთა, პროფსაბჭოს და პროფესიული კავშირების რესპუბლიკური კომიტეტების საქმიანობა. (საქდესი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება, რომ პარასკევს, 15 მაისს, მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების (მეშვიდე მოწვევის) საქალაქო საბჭოს მეორე სესია.

სესია გაიხსნება დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრსპ. № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 1 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

---

15 მაისს, საღამოს 6 საათზე ქ. ფოთში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტთან ერთად აწყობს გაზეთ „კომუნისტის“ **მკითხველთა კონფერენციას.**

რედაქტორი
დ. მჟელდლიშვილი.

ავსტრიის მთავრობა გადადგა

ვენა, 12 მაისი. (საკდესი). დღეს გაიმართა ავსტრიის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით. სხდომის შემდეგ კანცლერმა ი. რააბმა და ვიცე-კანცლერმა ბ. პიტერმანმა ვიზიტი გაუკეთეს რესპუბლიკის პრეზიდენტს ა. შერფს და აცნობეს მას მიღებული გადაწყვეტილება.

პრეზიდენტმა ა. შერფმა მიიღო გადადგომა და დაავალა მთავრობას ი. რააბის მეთაურობით დროებით განაგრძოს თავისი საქმიანობა ახალი მთავრობის შექმნამდე.

ა. ა. გრომიკოს შეხვედრა ლ. გოლცთან

ჟენევა, 13 მაისი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის რეზიდენციაში გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ლ. გოლცთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ვ. ა. ზორინმა, მ. გ. პეტროვიჩინმა, ა. ი. ილიჩოვმა, ო. ვინცერმა, პ. ფლორინმა, გ. ტეპლიცმა.

მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალზე კანში

კანი, 11 მაისი. (საკდესის კორ.). **საფრანგეთის ხელმეორეა ზღვის კურორტი კანი ამ დღეებში კვლავ გახდა მსოფლიო კინემატოგრაფიის ცენტრი. მეორე კვირაა აქ გრძელდება მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობს ოცდაათი ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი.**

ფესტივალის გახსნის მომენტიდან უკვე ნაჩვენებია ფესტივალის პროგრამაში შეტანილი ფილმების ნახევარზე მეტი. საბჭოთა კინომუშაკების დელეგაციამ კოსტუსრგარეშე უჩვენა საბჭოთა მხატვრული ფილმი „ადამიანის ბედი“. ამ ფილმს განსაკუთრებით კარგად შეხვდა საზოგადოება. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის კინოსტუდიის დირექტორმა გ. ი. ბრიტიკოვმა განაცხადა, რომ ბევრი უცხოელი რეჟისორი და კრიტიკოსი, რომელნიც ფესტივალს ესწრებიან, ამ ფილმს გვერდში უყენებს მსოფლიო კინემატოგრაფიის შედევრებს. საბჭოთა დელეგაციამ მოაწყო აგრეთვე საუკეთესო საბჭოთა ფილმების („დიდი მოქალაქე“, „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „ჯავშნოსანი პოტომკინი“ და სხვები) ფრანგმენტების ჩვენება.

ა. ბარანოვი.

ავიაციის ამბები

რესპუბლიკური ჩემპიონატი ბადრაკში

12 მაისს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. აღსანიშნავია, რომ ორ ტურში იმდენი პარტია იყო დაუმთავრებელი, რომ მიუხედავად 6 საათის თამაშისა, ერთი პარტია კვლავ გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრების შედეგები ასეთია: ბ. გურგენიძემ მოუგო მ. დემურიას, ა. ბუსლაევმა — ა. იზეოზჩიკოვს, ა. ბრეიტმანმა — ნ. გაფრინდაშვილს, გ. მაჭავარიანმა — ო. თურქესტანიშვილს, ა. ბლაგიძემ — თ. ლომაიას, ი. ვეტოხინმა — მ. შიშოვს, დ. ჯანოევმა — გ. გამრეკელს, თ. გიორგაძემ — თ. ლომაიას, გ. გამრეკელმა — მ. დემურიას; ო. თურქესტანიშვილ-ა. ბრეიტმანის პარტია ყაიმით დამთავრდა. ა. იზეოზჩიკოვ-გ. მაჭავარიანის პარტია კვლავ გადაიდო.

ორი ტურის დამახასიათებელი თვისებაა ფინალის მონაწილეთა უმრავლესობის გაბედული და აგრესიული თამაში, რის შედეგადაც 17 პარტიიდან მხოლოდ ოთხი დამთავრდა ყაიმით. პირველ ადგილზე არიან ბ. გურგენიძე და თ. გიორგაძე, რომლებსაც ორ-ორი ქულა აქვთ.

დღეს, გაიმართება მე-4 ტური.

ცხაკაიას იპოდრომზე

ცხაკაიელი ცხენოსნები რესპუბლიკაში მოწინავენი არიან. ისინი ყოველწლიურად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში და მაღალ სპორტულ შედეგებს აღწევენ. თბილისის სახელმწიფო იპოდრომის გახსნის დიდ ასპარეზობაში ცხაკაიელებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

ამას წინათ ცხაკაიას იპოდრომზე მოეწყო რაიონის კოლმეურნე ცხენოსანთა ასპარეზობა, რომელმაც ადგილობრივი და მეზობელი რაიონების სპორტის მოყვარულთა ინტერესი გამოიწვია. აქ გაიმართა შეჯიბრება დოღში, მარულაში, ისინდში, ცხენბურთში, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში და ცხენოსნური სპორტის სხვა სახეობებში.

ყაბაზში ოსტატობით თავი გამოიჩინა გ. ივანიძემ, ჩეხვაში — უ. გრიგოლიამ, ბოქესევაში — ლ. არდიამ, მარულაში 5 კილომეტრზე — გ. კულუამ.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ 12 მაისს გაიმართა მშვიდობის ველორბოლის მე-9 ეტაპი მარშრუტით გოტვალდოვი-ოსტრავა (136 კილომეტრი). პირად ასპარეზობაში გაიმარჯვა დე ვოლფმა. (ბელგია).

⊙ ქ. პლოვდივში გრძელდება ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი. ექვსი ტურის შემდეგ ლიდერია ს. როოტარე, რომელსაც 4,5 ქულა აქვს.

⊙ მოსკოვში მიმდინარეობს უძლიერეს წყალბურთელთა ასპარეზობა. თბილისის „დინამომ“ პირველ ტურში დაამარცხა კიევის სკიფი 8 : 7, ხოლო მე-2 ტურში ფრედ (3 : 3) დაამთავრა მატჩი რსფსრ გუნდთან.

⊙ ფეხბურთის საკავშირო სექციის პრეზიდიუმმა განიხილა კიევის „დინამოს“ გუნდის პროტესტი მოსკოვის დინამოელებთან მატჩში და უარყო იგი.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1959-1960 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს დაუსწრებელი და საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე: მათემატიკა (საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილებები), ფიზიკა (საღამოს განყოფილება), ქიმია (საღამოს განყოფილება), ისტორია (დაუსწრებელი განყოფილება), რუსული ენა და ლიტერატურა (დაუსწრებელი განყოფილება), ინგლისური ენა და ლიტერატურა (საღამოს განყოფილება), ფრანგული ენა და ლიტერატურა (საღამოს განყოფილება), სახალხო მეურნეობის ეკონომიკა (საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილებები, ქართული და რუსული სექტორები, სპეციალიზაცია: მრეწველობის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა), საბუხჰალტერო აღრიცხვა (საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილებები, ქართული და რუსული სექტორები, სპეციალიზაცია: საბუხჰალტერო აღრიცხვა მრეწველობაში, საბუხჰალტერო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში), ვაჭრობის ეკონომიკა (დაუსწრებელი განყოფილება), ფინანსები და კრედიტი (დაუსწრებელი განყოფილება), სტატისტიკა (დაუსწრებელი განყოფილება), სამართლისმცოდნეობა (საღამოს განყოფილება, ქართული და რუსული სექტორები).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებსა და პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში.

უგამოცდოდ მიიღებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე ან ვერცხლისა და ოქროს მედლით. ყველა დანარჩენი შესასვლელი ბარებს მისაღებ გამოცდებს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის. სპეციალიზაციისა და სწავლების ხაოიათის აღნიშვნით, შემდეგი საბუთების დართვით: დახასიათება-რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან, გაცემული ადმინისტრაციისა, საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციების მიერ, ატესტატი ან დიპლომი (დედანი), ავტობიოგრაფია, პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ადგენენ პირადად), 4 ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ ზომისა, დოკუმენტი საწარმოო სტაჟის შესახებ (საწარმოო სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს საწარმოს ან დაწესებულებების მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დამტკიცებული ცნობა გაცემული საკოლმეურნეო შრომის წიგნაკის საფუძველზე. ცნობაში აღნიშნული უნდა იყოს თვითეულ წელს გამომუშავებულ შრომადღეებთან ერთად მოცემულ. კოლმეურნეობაში დაწესებული შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), გაცემული უბნის ექიმის მიერ, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ცნობა სამხედრო კომისარიატიდან სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში მონაწილეობის შესახებ (ადგენენ სამამულო ომის მონაწილენი).

საბუთები მიიღება ა. წ. 15 ივნისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 16 ივნისიდან 25 ივნისამდე. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (პირველი კორპუსი, I სართული), დღის 2 საათიდან.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრსპ. № 1, ტელეფონი № 3-28-66.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის და ჭუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილებები აცხადებენ 1959-60 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას.

I. მიღება იწარმოებს: ა) პირველ კურსზე: ფიზიკა-მათემატიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის (ქართული და რუსული სექტორები) და ბიბლიოთეკათმცოდნეობის (თბილისის ინსტიტუტში) სპეციალობებზე, ბ) მესამე კურსზე (განსაკუთრებული ჯგუფები): ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის და ისტორიის სპეციალობებზე.

პირველ კურსზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან: ა) ფიზიკა-მათემატიკისა და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე — მასწავლებლები და სკოლის სხვა მუშაკები (პიონერხელმძღვანელები და ლაბორანტები), ბ) დაწყებითი სკოლის მასწავლებლის სპეციალობაზე — დაწყებითი კლასის მასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები, სკოლა-ინტერნატებისა და სბავშვო სახლის აღმზრდელები, გ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობაზე — ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

II. მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად მიიღებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც აქვთ საშუალო სკოლის წარჩინებულის ატესტატი ან დაჯილდოებული არიან ოქროს თუ ვერცხლის მედლით და მუშაობენ მიღებისათვის განსაზღვრული სპეციალობით.

ყველა დანარჩენი აბარებს მისაღებ გამოცდებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დაწესებულ საგნებში.

შენიშვნა: 1. ის პირები, რომლებმაც 1939 წლამდე დაამთავრეს სამასწავლებლო ინსტიტუტები და მუშაობენ მასწავლებლებად. უგამოცდოდ მიიღებიან პირველ კურსზე, ხოლო 1939 წლის შემდეგ კურსდამთავრებულნი მიიღებიან მესამე კურსზე (განსაკუთრებულ ჯგუფებში).

2. მეექვსე სემესტრზე ჩაირიცხებიან მასწავლებლები: უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებულები, ვინც ორჯერ არ ჩაჭრილა სახელმწიფო გამოცდებზე და ვისაც არა აქვს აკადემიური დავალიანება, უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების მე4-5 კურსებიდან გამოსულნი, თუ ისინი გარიცხული არ არიან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო და არა აქვთ აკადემიური დავალიანება. ეს მასწავლებლები გამოცდას აბარებენ მაპროფილებელ ერთ საგანში პედაგოგიური ინსტიტუტის პროგრამის მიხედვით. ჩარიცხულებს ჩაეთვლებათ წინა ექვს სემესტრში ჩაბარებული ყველა საგანი.

3. დაწყებითი სკოლის მასწავლებლის სპეციალობაზე შემსვლელნი გაიცლიან მუსიკალურ შემოწმებას.

III. შემსვლელმა 10 ივნისამდე ინსტიტუტის დირექტორის სახელზე სპეციალობის აღნიშვნით უნდა შემოტანოს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით:

1) უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი დახასიათება-რეკომენდაცია, გაცემული სამუშაო ადგილიდან ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, 2) საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 3) ავტობიოგრაფია, 4) ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ ზომისა), 5) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, 6) უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა სამედიცინო ცნობა (ფ. № 286), შემოწმებული რაიონული საავადმყოფოს (პოლიკლინიკის) საუბნო ექიმის მიერ, 7) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

შენიშვნა: 1. სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა საშუალო განათლების სატუნის ნაცვლად უნდა წარმოადგინონ სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი ან ატესტატი (დედანი).

2. მეექვსე სემესტრზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ აკადემიური წარმატების ცნობა — ჩაბარებული და ჩაუვლელი საგნების აღნიშვნით.

3. დიდი სამ